

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №29

დ. ლენტეხი.

13.08.2010.წ.

თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს
წევრებისათვის, რომლებიც არ არიან ანაზღაურებად თანამდებობაზე ხარჯების
გამოყოფის შესახებ

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 23. 07. 2010 წლის №06
დადგენილების „ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების
(რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ თავი II, მუხლი 16-ის „ა“, „ბ“, „დ“
ქვეპუნქტების საფუძველზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ
გადაწყვიტა:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის დამტკიცებულ
ბიუჯეტში სხვა საქონელი და მომსახურების მუხლიდან დეპუტატის
უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დაფინანსდეს უხელფასო
დეპუტატები - სოფო ტვილდიანი, იური მეშველიანი, სოსო მუკბანიანი და გოვენ
ლიპარტელიანი მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან თითოეულ თვეში 150 (ას
ორმოცდაათი) ლარით.

2. განკარგულება აღსასრულებლად გადაეგზავნოს ლენტეხის
მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე:

/გ. ქურასბედიანი/